



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება № 104

2011 წლის 16 აგვისტო
ქალაქი ხაშური

“ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკური აღზრდისა და გაჯანსაღების, ცხოვრების ჯანმრთელი წესის დამკვიდრებისა და განვითარების ხელშეწყობის პროგრამის დამტკიცების შესახებ” ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 26 ნოემბრის №147 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. განხორციელდეს ცვლილება ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 26 ნოემბრის №147 განკარგულებაში „ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკური აღზრდისა და გაჯანსაღების, ცხოვრების ჯანმრთელი წესის დამკვიდრებისა და განვითარების ხელშეწყობის პროგრამაში“ კერძოდ დაემატოს ერთი შტატი ძალისხმობაში, რომლის უზრუნველსაყოფადაც საჭიროა 400 ლარი, საერთო ბიუჯეტი 122580 ლარი გაიზარდოს 122980 ლარამდე.
2. განკარგულება გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას.
3. განკარგულება ძალაში შედის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ან რაიონულ სასამართლოში ერთი თვის განმავლობაში

მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის მოადგილე



როსტომ გრიგალაშვილი

ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკური აღზრდისა და გაჯანსაღების, ცხოვრების ჯანმრთელი წესის დამკვიდრებისა და განვითარების ხელშეწყობის პროგრამა

მუხლი 1. პროგრამის მიზანი

ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს ერთი, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ქ. ხაშურის კომპლექსური სასპორტო სკოლა, სადაც მიმდინარეობს სწავლება სპორტის II ძირითად სახეობაში. პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს მოზარდების სხვადასხვა სპორტულ ჯგუფებში გაერთიანებას, ინტენსიური წვრთნის პროცესის მიმდინარეობას, რაც იქნება ახალგაზრდა თაობის ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების და ფიზიკური სრულყოფის საფუძველი.

აღნიშნული პროგრამის განხორციელებას საფუძველად უდევს საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს კანონი „სპორტის შესახებ“.

მუხლი 2. პროგრამის არსი

პროგრამის შესაბამისად ადგილობრივი თვითმმართველობა უზრუნველყოფს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ქ. ხაშურის კომპლექსური სასპორტო სკოლის მოსწავლეთა თანადაფინანსებას, თითოეულ აღსაზრდელზე 14 ლარის ოდენობით. ადგილობრივი თვითმმართველობა აღნიშნული პროგრამით ხელს უწყობს პირველ რიგში მოზარდთა ფიზიკურ გაჯანსაღებას, მათი ქუჩისა და მავნე ჩვევებისაგან მოწყვეტას, პერსპექტიული სპორტსმენების გამოვლენას და მათ მომზადებას.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები ხელს შეუწყობს აღნიშნული დაწესებულების ფუნქციონირებას, და პედაგოგთა სტაბილურ შრომის ანაზღაურებას.

მუხლი 3. პროგრამის ხანგრძლივობა

პროგრამის მოქმედების ხანგრძლივობაა 2011 წლის 1 იანვრიდან 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. მოსწავლეთა დამატებული კონტიგენტის დაფინანსება დაიწყება ჯგუფების დაკომპლექტებისა და მათი ფაქტობრივი რეგისტრაციის შესახებ განაცხადის წარმოდგენის შემდეგ.

მუხლი 4. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის დასაფინანსებლად გამოიყოფა 122980 ლარი, რაც გათვლილია 681 მოსწავლეზე და ეფუძნება სკოლაში აღსაზრდელთა ფაქტიურად დარეგისტრირებულ სიდიდეს პროგრამის შედგენის მომენტისათვის და გათვალისწინებულია აგრეთვე 2 ახალი ჯგუფის დაკომპლექტება, და შესაბამისად კონტიგენტის ზრდა 30 მოსწავლით .

იმდენად, რამდენადაც მოსწავლეთა აღნიშნული რიცხოვნობა სპორტის ყველა სახეობის ჯგუფებითაა შედგენილი, დაფინანსდება ჩასატარებელი საათები სპორტის შემდეგ სახეობებში: ქართული ჭიდაობა (3ჯგუფი) ჭიდაობა ძიუდო (3ჯგუფი), ჭიდაობა სამბო (4ჯგუფი), თავისუფალი ჭიდაობა (5ჯგუფი), ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (1ჯგუფი), მძლეოსნობა (3ჯგუფი), ჭადრაკი (3ჯგუფი), კალათბურთი (8ჯგუფი), ფეხბურთი (14ჯგუფი), ჩოგბურთი (1ჯგუფი), ძალოსნობა (2ჯგუფი).